ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 4/18

2024 წლის 25 აპრილი

ქალაქი ფოთი

უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალის „გოეთე ინსტიტუტის ფილიალი საქართველოში“ მიერ გამოყოფილი გრანტის მიღებაზე თანხმობის მისაღებად, საქართველოს მთავრობის წინაშე შუამდგომლობით მიმართვის მიზნით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 19 აპრილის № 42 – 422411040 მომართვის საფუძველზე,

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, საკრებულოს წინასწარი თანხმობის საფუძველზე, შუამდგომლობით მიმართოს საქართველოს მთავრობას, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“ ფარგლებში გამოცხადებული ფიზიკური აღნუსხვის საგრანტო კონკურსის საფუძველზე, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალის „გოეთე ინსტიტუტის ფილიალი საქართველოში“ მიერ გამოყოფილი გრანტის 5000 (ხუთი ათასი) ევროს მისაღებად თანხმობის მიღების მიზნით.

მუხლი 2.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე ტყებუჩავა